KA030104341933219

№ 01-9498 **13 / სექტემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის
განმსაზღვრელი დეპარტამენტის
უფროსის მურად აბლოთიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ დამატებითი თანხების გამოყოფისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანხები გადავანაწილოთ შემდეგი პროგრამებისთვის:

1. სახლების შესყიდვის პროგრამა - ვინაიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 360-მდე ოჯახზე უკვე აღებულია ვალდებულებები (157- ოჯახზე შესყიდვაზე გამოცემულია ბრძანება და 201 ოჯახზე მზად არის ექსპერტიზის დასკვნები). შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დასაფარად საჭიროა გამოიყოს 7 200 000 (შვიდი მილიონ ორასი ათასი) ლარი.

2. ეკომიგრანტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 190 ოჯახზე აღებულია ვალდებულება სახლების შესყიდვაზე შესაბამისად მათი სრულად უზრუნველყოფისათვის საჭიროა დამატებით 2 000 000 (ორი მილიონი ლარი).

3. ქ. თბილისის, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, სამინისტრო ახორციელებს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 10% თანადაფინანსებას. ვინაიდან მოცემულ პროგრამაზე დიდი მოთხოვნაა და გაცემულია ადმინისტრაციული დაპირებები საჭიროებას წარმოადგენს სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყოს 100 000 (ასი ათასი) ლარი.

4. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, კერძო პირებისაგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვის პროგრამის ფარგლებში სამინისტროს 2019 წელს მენაშენეების მიმართ აღებული ვალდებულებების ნაწილობრივ დასაფარად საჭიროა გამოიყოს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მურად აბლოთია